

**საქართველოს კონსტიტუციური კანონი**  
**საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1**

საქართველოს კონსტიტუციას (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, №№31-33, მუხ. 668) დაემატოს შემდეგი შინაარსის 48<sup>1</sup> მუხლი:

**„მუხლი 48<sup>1</sup>**

1. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი.
  2. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს.“.
- საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი №4985 - ვებგვერდი, 14.07.2011წ.*

**მუხლი 2**

ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომდევნო საერთო საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი**  
**თბილისი,**

**2009 წლის 24 სექტემბერი.**  
**№1674-III**

**შეტანილი ცვლილებები:**

1. საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი №4985 - ვებგვერდი, 14.07.2011წ.